ნათია ბერიშვილი

კავკასიის მედიის სკოლა

ტურიბას უნივერსიტეტი, ლატვია

,,2024 წლის შემოდგომის სემესტრი, ბილატერალური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, გავატარე რიგაში, ლატვიის ტურიბას უნივერსიტეტში. მიღებულმა გამოცდილებამ მოლოდინს გადააჭარბა, ვინაიდან, გარდა საინტერესო აკადემიური პროცესებისა, შევიძინე ძალიან ძვირფასი საერთაშორისო მეგობრები.

ტურიბა არის ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი, რომლის ინტერიერში ნათლად შეინიშნება ლატვიის კულტურის სპეციფიკა, სადაც ფერადი, ნათელი და მყუდრო სივრცეები შექმნილია სტუდენტებისთვის კომფორტული და შემოქმედებითი გარემოს უზრუნველსაყოფად. რაც შეეხება აკადემიურ ნაწილს, თეორიული სწავლება მუდმივად მიმდინარეობდა პრაქტიკული პროექტების პარალელურად. სასწავლო კურსის ფარგლებში მომიწია რეალურ მარკეტინგულ კამპანიებზე მუშაობა და ციფრული რეკლამების შექმნაში მონაწილეობის მიღება. მაგრამ ჩემთვის, რაც ნამდვილად განასხვავებს ტურიბას უნივერსიტეტს სხვებისგან, არის "ტურიტისი" – თეთრი კატა, რომელიც 17 წლის განმავლობაში იყო უნივერსიტეტის ერთგული თანამგზავრი და მისი სახე. "ტურიტისის“ არსებობა არა მარტო მეგობრულ ატმოსფეროს ქმნიდა უნივერსიტეტში, არამედ ლექციის დაწყებამდე დადებით განწყობას აყალიბებდა, რაც ყველა სტუდენტს სჭირდებოდა პროდუქტიული მუშაობისათვის.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ლატვიაში მიღებული ყველაზე ღირებული და ემოციური მოგონებები ჩემთვის კულტურათაშორის უშუალო ურთიერთობებს უკავშირდება. ვფიქრობ, კამპუსში ცხოვრება ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, რადგან სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებთან დაახლოების საშუალება მომცა. ერთმანეთში ვცვლიდით კულტურას, ტრადიციებს, კულინარიასა და ცხოვრების სტილს. დავგეგმეთ და განვახორციელეთ რამდენიმე მოგზაურობაც, რაც ყოველდღიურ ცხოვრებას კიდევ უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდიდა. გაცვლითმა პროგრამამ შემძინა არა მხოლოდ აკადემიური და პროფესიული უნარები, არამედ მასწავლა მიმღებლობა სიახლეების მიმართ, რამაც საბოლოოდ მიმიყვანა გლობალურ თანამეგობრობამდე და სრულიად შეცვალა ჩემი ხედვა საერთაშორისო ურთიერთობების მხრივ.’’